კრებულტარებო შველა ქვეყნისა, შემართდით!

ლელო

№ 242 (5272)

17 დეკემბერი, შაბათი.

1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კრონშტადტირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ესტაფეტა თბილისის ქუჩებში

ასეთი სალხმრავალი მძლეოსნური ესტაფეტა „ქალაქის წრეზე“ თბილისში დიდი ხანია არ გამართულა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრების სტარტზე 25 გუნდი გამოვიდა. ასპარეზობაში 525 კაცი მონაწილეობდა. ეს ციფრი უფრო დიდი იქნებოდა, გამარჯვებისთვის ბრძოლაში ის დანარჩენი 12 კოლექტივიც რომ ჩაბმულიყო, რომლებსაც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი საასპარეზოდ იწვევდა. საყვედური განსაკუთრებით მეორე (ტექნიკუმები და პროფტექსასწავლებლები) და მეოთხე (საწარმოების კოლექტივები და სპორტკლუბები) ჯგუფების წარმომადგენლებს ეხებათ. თბილისში ბევრი ტექნიკუმი და პროფტექნიკური სასწავლებელია, გუნდების დაკომპლექტება კი მხოლოდ მწვრთნელთა საოლიმ, მანქანათმშენებლობის, პოლიტექნიკური, მსუბუქი მრეწველობისა და ტოპოგრაფიულმა ტექნიკუმებმა შეძლეს.

რაც შეეხებათ მეოთხეჯგუფელებს, სარბიელზე ვერ ვნახეთ ისეთი დიდი და საკმაოდ ძლიერი საწარმოების ფიზკულტურელები, როგორიც არიან მაუდკამოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, სპორტკლუბი „ელვავალი“, ულვაოლსაშენებელი ქარხანა, სპორტკლუბი „ფიქარი“ და სხვა ორგანიზაციები.

შეჯიბრება საინტერესო ბრძოლაში, ორგანიზებულად ჩატარდა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით მის ორგანიზატორებსა და, განსაკუთრებით, ქალაქის ავტოინსპექციას. მაგრამ სარბიელზე ზემოთ დასახელებული ფიზკულტურული კოლექტივების მძლეოსნებიც რომ გამოსულიყვნენ, შეჯიბრება მასობრიობის თვალსაზრისითაც მოიგებდა და სანახაობრივადაც გაცილებით მიმზიდველი იქნებოდა.

სტარტი ლენინის მოედანზე მოეწყო. გუნდებს ესტაფეტა რუსთაველის გამზირის, ლენინის ქუჩის, გმირთა მოედნის, ჩელიუსკინელთა ქუჩის, პლეხანოვის გამზირის, კ. მარქსის მოედნის, სტალინის სახელობის მარჯვენა სანაპიროს, ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩების გავლით ისევ ლენინის მოედანზე უნდა მიეტანათ.

დისტანცია 21 ეტაპად იყო დაყოფილი (7000-მდე მეტრი). ექვს ეტაპზე ესტაფეტა ქალებს მიჰქონდათ. სწორედ ქალებს ხვდათ წილად შეჯიბრების დაწყება. პირველი ეტაპის მონაწილეები პიონერთა სასახლემდე მიდიოდნენ. ამ ეტაპზე წარმატებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ყველამ კარგად იცოდა. ამიტომაც მესტაფეტის ნიშნისთანავე 25 ქალი წინ ერთდროულად გაიჭრა. ერთხანს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრი თ. კლდიაშვილი დაწინაურდა, მაგრამ ეტაპის ფინალამდე ლიდერობა ისევ ვერ შეინარჩუნა. ეს პატივი ვერც ერთ სხვა გუნდს ვერ ეღირსა. ფინალში პირველი მოვიდა ქალთა გუნდი, რომელსაც ნ. ბერიძე ხელმძღვანელობდა. მეორე ადგილი მეორე გუნდმა დაიკავა, მესამე — მესამემ.

ესტაფეტის ბოლო ეტაპი ყველაზე ძნელი აღმოჩნდა. ამ ეტაპზე ვაჟებს ორი კილომეტრი უნდა გაერბინათ. ბოლო ეტაპზე ლიდერობდა ქალთა გუნდი, მაგრამ ფინალამდე ერთი კილომეტრი რომ დარჩა, ლიდერობა ვაჟთა გუნდმა ჩაიბარა. ფინალში ისინი პირველები მოვიდნენ. მეორე ადგილი მეორე გუნდმა დაიკავა, მესამე — მესამემ.

ესტაფეტის ბოლო ეტაპზე ლიდერობდა ქალთა გუნდი, რომელსაც ნ. ბერიძე ხელმძღვანელობდა

ტურიზმი სიჯანსაღის წყაროა

მშდ ტურისტულ ბილიკებზე

სოხუმის რაიონების მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატმა მოაწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: სოხუმი — აჩადარა — გუმისთის გაძოქვაბული — სოხუმი. მოსაწილეებმა 20 კილომეტრი გაიარეს.

ლაშქრობის დროს მოსწავლეებმა მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს 100 მეტრზე რბენაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და ტურისტულ მრავალჭიდში.

ღონისძიებაში 200 მოსწავლე მონაწილეობდა.

ტ. წულაია,
სოხუმის რაიონების სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

ჩაჭვისთავის მიდამოებში

ტურიზმისა და ექსკურსიების აჭარის საოლქო საბჭომ „განთიადის“ საოლქო საბჭოსთან ერთად ჩაქვისთავის მიდამოებში მოაწყო სამდღიანი შეკრება-შეჯიბრება. პროგრამაში შედიოდა სპორტული თევზაობა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ტურისტულ მრავალჭიდში.

ოთხსაათიანი შეჯიბრების შემდეგ თევზაობაში გაიმარჯვა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გუნდმა, II და III ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ აჭარაურკომბინატისა და ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივებს.

ტურისტულ მრავალჭიდში კარგი მომზადება ჭამოაჩინა ხის დამმუშავებელი კომბინატის გუნდმა, რომელმაც ყველა ეტაპი საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრა და საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილიც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, ხოლო III — სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების წარმომადგენლები.

გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ტურიზმისა და ექსკურსიების აჭარის საოლქო საბჭოს და „განთიადის“ დიპლომები.

კარგად გამოვიდნენ აჭარაურკომბინატის, მანქანათაშენებელი, ელექტრომექანიკური ქარხნებისა და „ელექტროხელსაწყოს“ გუნდებიც.

ტურისტულმა შეკრება-შეჯიბრებამ გვაჩვენა ისიც, რომ ქალაქის ბევრ საწარმო-დაწესებულებაში უგულებელყოფენ ან ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა აქტიურ დასვენებას.

ო. გურგანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ლაშქრობაში მეგობართან მჭიდროდ

სოფელ დელიკაურის საშუალო სკოლამ ჩაატარა ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — მაყვლარიანის მთა — სოფელი საკრაული — დაბა მაიაკოვსკი — ზესტაფონი. მონაწილეებს მშდ კომპლექსის ნორმატივები უნდა ჩაებარებინათ.

მოლაშქრეებს სოფელ საკრაულაში შეხვედრა მოუწყვეს ადგილობრივი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ტურისტებმა დამეც იქ ქათიეს. მეორე დღეს სტუმარ-მასპინძლებმა ძალა მოსინჯეს ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჰადრაკში და მძლეობნობის ზოგიერთ სახეობაში. ამ შეხვედრებში არც ერთი მხარე არ დამარცხებულა: მეტოქეებმა ხომ ახალი მეგობრები შეიძინეს და გმაყოფილნი დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

საინტერესო ექსკურსია

ამას წინათ ზესტაფონის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდმა ჯგუფმა ისტორიის მასწავლებელ ზ. კოღუაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყო ტურისტული ლაშქრობა ვანის ნაქალაქარის გასაცნობად. მოსწავლეებმა ვანში დიდი ინტერესით დაათვალიერეს, აგრეთვე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

მოსწავლეებთან ერთად

თელავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმმა მოაწყო ტურისტული ლაშქრობა ცივის მთაზე. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტექნიკუმის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

გადაწყვეტილი გვაქვს მოკლე დროში ასეთივე ლაშქრობა მოვაწყოთ ვადორზე.

მ. საყვარლიშვილი,
ფიზალჩრდის ხელმძღვანელი.

პირველადი ორგანიზაციების ყრილობები

გაიმართა დოსააფის ცხაკაიას რაიონული კომიტეტის XXII კონფერენცია. დელეგატებმა მოისმინეს ამ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. გვასალიას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის რ. სიუინაშას საანგარიშო მოხსენებანი.

აღინიშნა, რომ რაიონის დოსაააფის პირველადმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა (ამჟამად რაიონში 127 პირველადი ორგანიზაციაა, რომლებშიც 10000-ზე მეტი წევრია გაერთიანებული).

ავტო-მოტოკლუბმა (დირექტორი ლ. მზეიძე) 803 სპეციალისტი მოამზადა. მათგან მესამე კლასის მძღოლია 195 კაცი, ავტომოყვარული კი — 400.

საანგარიშო პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა მშდ კომპლექსის ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები.

კარგად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, სამგზავრო და სატვირთო ავტოსატრანსპორტო კონტორების, ქალაქის საბჭოს, ფოცხოს კოროვის სახელობის, ეკის, ზანის კოლმეურნეობების, გეჯეთის, ძველსენაკის, ახალსენაკის, კოტაიანეთის საბჭოთა მეურნეობებისა და თაკლათის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის დოსააფის პირველადი ორგანიზაციები.

კონფერენციაზე ნაკლიც აღინიშნა: ჭალდიდის საბჭოთა მეურნეობის, ნოქალაქევის თუთის სანერგე მეურნეობის, ახალსოფლის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის, უშაფათის ორივე კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და პირველადი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდას. ამ ორგანიზაციებში ჩაშლილია მუშაობა, არ ჰყავთ გუნდები, არა აქვთ ბაზები.

დოსააფის რაიონული კომიტეტი ჯერჯერობით ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს წვევამდელების პატრიოტულ აღზრდას, არ ეწყობა შეხვედრები ვეტერან მეომრებთან, არ ტარდება ლექცია მოხსენებები, დოსააფის კლუბი მოუწყობელია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ძველსენაკის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. დავითაიამ, ფოცხოს კოროვის სახელობის კოლმეურნეობის დოსაფის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გ. შამათავამ, უშაფათის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. გაბელაიამ, ახალსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. გოგინაშვილ, ავტომოტოკლუბის დირექტორმა ლ. მზეიძემ, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა მ. ბუსკაძემ, საქართველოს ალპკ ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ცაგურიამ.

კონფერენციამ აირჩია დოსააფის რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ნ. გვასალია, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — გ. შალანია.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

ჯიუტი „კიკინებიანი“ გოგონა

ვარნის მსოფლიო ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა პოპულარობა. მათ ახლა ადგარიშს უწევენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში. ამ სტატიების დადასტურება გაელავთ თუნდაც ათატარა ოსლოელი გოგონას კრისტინა ჭკადროვის სტუმრობა თბილისში, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის გ. რცხილაძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლაში. სწორედ ამ სკოლის დარბაზში შევხვდით კრისტინასა და მამამისს, ოსლოს ოპერის თეატრის მომღერალს თომას მაკბოენს.

პატარა „კიკინებიანი“ კრისტინა დიდი მოხდომებით ვარჯიშობდა დვრილზე. ერთ-ერთი ელემენტი არ გამოსდიოდა და ამიტომ ჯიუტად იწვრთნიდა და ისევ იმეორებდა ვარჯიშს. დროდადრო ცისფერა თვალებს მწვრთნელს მიაპყრობდა და გულისყურით ისმენდა მის რჩევა-დარიგებას. მამამისი კი, რომელიც გარჯიშს უყურებდა, თავის უბის წიგნაკში შენიშვნას შენიშვნაზე იწერდა. გადავწყვიტეთ კრისტინასთვის ხელი არ შეგვეშალა მეცადინეობაში და მამამისისთვის მიგვეცა რამდენიმე შეკითხვა.

სკოლის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ჯულელმა თავის კაბინეტში მიგვიწვია, სადაც სტუმრის პატივსაცემად სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი.

● გ-ნო თომას, რა ცხრა თქვენს საქართველოში ჩამოსვლის მიზანი?

— მეც და კრისტინასაც ძალიან გვიყვარს სპორტული ტანვარჯიში. მინდა ჩემი შვილი შეძლებისდაგვარად აქ დაოსტატდეს სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში.

● რატომ პირჩევით საქართველოს?

— მოსკოვში რომ ჩამოვედი და საკავშირო სპორტკომიტეტს ჩემი სურვილი გავაცანი, თბილისი შემომთავაზეს. მე თვალყურს ვადევნებდი ვარნის მსოფლიო ჩემპიონატს, ვიცოდი, რომ რუსუდან სიხარულიძე, ნინა დრონოვა და პაატა შამუგია საქართველოდან იყვნენ. მათ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ტანმოვარჯიშეთა დიდ ფორუმში და, ცხადია, ჩვენც დიდი სიხარულით დავთანხმდით საკავშირო სპორტკომიტეტის წინადადებას.

● რომორია თქვენში სპორტული ტანვარჯიშის განვითარების დონე?

— ჩვენს ქვეყანაში სპორტული ტანვარჯიში სულ უფრო პოპულარული ხდება. ცხადია, იგი სათხილამურო სპორტს კონკურენციას ვერ უწევს, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ მთელი ნორვეგია თხილამურებზე დგას. რაც შეეხება ტანვარჯიშს, სპორტის ამ ულამაზესი სახეობით ნორვეგიელები მობიბლული არიან, მაგრამ მას უფრო ყოველდღიური წრთობისთვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, სრული სილამაზის შენარჩუნებისთვის იყენებენ. სპორტის ამ სახეობაში მაღალკვალიფიციური მწვრთნელები არა გვყავს. ეგ კი არა, ჩვენს ეროვნულ ნაკრებსაც არა ჰყავს შედმივი მწვრთნელი. თუ ამ საქმეს ყინწი ითავებს, მან უხელფასოდ უნდა იმუშაოს.

შემდეგ ყველანი სავარჯიშო დარბაზში გავედით.

პატარა კრისტინა დიდი მონდომებით ვარჯიშობდა.

● კრისტინა, რომელი ცარალი ოვენრს ყველაზე მეტად?

— ყველა იარაღი მომწონს, მაგრამ თავისუფალ ვარჯიშს მაინც არაფერი მირჩევნია, — გვაპასუხა კრისტინამ და ისევ სავარჯიშოდ გაიქცა.

● რას გვეტყვით რუსლიელ გიგინაზე, დეტყო თუ არა პრობრესი, რაც თბილისშია? — ვკითხეთ მ. ჯულელს.

— უდავოდ, 10 წლის კრისტინა ძალიან ნიჭიერი, პერსპექტიული და შრომისმოყვარე გოგონაა. ყველაფერს მალე ითვისებს. მაგალითად, რომ ჩამოვიდა, რთულ აკრობატულ ელემენტებსა და ნაირთებს ვერ ასრულებდა. ორი კვირის განმავლობაში კი უკვე ბევრი რამ ისწავლა. მწვრთნელი როლანდ კვეტენაძე, აკრობატი იგორ ლარიონოვი და ქორეოგრაფი თინათინ ზურაბიშვილი კრისტინას დღეში ორჯერ ამეცადინებენ.

● გ-ნო თომას, რომორ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე მს სწავლა?

— ფრიად სასიამოვნოა, რომ სკოლას წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე ხელძღვანელობს. თქვენი მწვრთნელები საქმისთვის თავდადებული და გულისხმიერი ხალხია.

● მომავალში ისევ გვესტუმრებით თუ არა კრისტინა?

— თუ მიგვიღებთ, დიდი სიამოვნებით. სხვათა შორის, ჩემი მეულლეც ოსლოს ოპერის მომღერალია. იგი კარგა ხანია ფიქრობს თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლას, თუ ეს მოეწონდა, კრისტინასაც აუცილებლად ჩამოვიყვანთ.

საუბარს ვამთავრებდით, როცა ვიღაცამ „ღელოს“ ახალი ნომერი შემოართვინა. პირველ გვერდზე სასიხარულო ცნობა იყო დაბეჭდილი. გაზეთი იუწყებოდა, რომ იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ნინა დრონოვამ ტანვარჯიშულ მრავალჭიდში I ადგილი დაიკავა, ხოლო ბათუმელმა რუსუდან სიხარულიძემ — II.

ამ ცნობამ აღაფრთოვანა კრისტინას მამა, რომელმაც მაგრად ჩამოართვა ხელი მწიას. თავის მხრივ, მ. ჯულელმა სტუმარს უსურვა, თქვენთვისაც მალე მოგვეულოცოს კრისტინას წარმატებები საერთაშორისო ტანვარჯიშულ სარბიელზეო. ამასვე უსურვებს „ღელოს“ რედაქცია „ჯიკინებიან“ კრისტინას, რომელიც დღეს გამოემშვიდობება თავის მასპინძლებს.

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათზე: ქ. მაკბოენი დვირზე ვარჯიშის დროს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ციმბალი

მოსწავლე ფეხბურთელთა საქალაქო თასის გათამაშებაში მონაწილეობდა 12 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-5 და მე-7 საშუალო სკოლების გუნდები. დამატებით დროში გამარჯვებას მაღწიეს მე-5 სკოლის წარმომადგენლებმა — 1:0.

ვ. ველჯოევი.
(ჩვენი კორ.).

ციმბალი ჭინალობა.

ა. გურასაშვილის ფოტო.

თბილისი – 74

ირიონი წარმატების სანინდარია

VI ტურნ. ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) — ე. უბილავა 0,5:0,5, ნ. გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი) — ა. შნაპკი (პოლონეთი) 0,5:0,5, გ. სიგურიონსონი (ისლანდია) — ბ. გურგენიძე (თბილისი) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — გ. ლებრედო (კუბა) 1:0, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ს. პოხოსიანი (პულგარეთი) 0,5:0,5, ხოლმოვი (მოსკოვი) — ე. გუფელდი (თბილისი) 0,5:0,5, ჩ. ჩოილტია (რუმინეთი) — რ. კინი (ინგლისი) 0,5:0,5, თ. გიორგაძე (თბილისი) ვ. შმიდტი (პოლონეთი) 0,5:0,5.

მართალია, შეხვედრების ნახევარზე მეტი ყაიმით დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა, ამ პარტებშიც უადრესად დაძაბული იყო. ის, რომ ნიჩევსკიმ თურნირი ვერ გაიყვანა ირიშის დაწყება, უბილავას ფბიზელი დაცვით იყო გამორეულია. საქართველოს ჩემპიონს თავად არ შეეძლო ირიშზე ფიქრი, ჭიანჭიდან ამის შესაძლებლობას სიცილიური დაცვის სისტემა არ იძლეოდა.

— ეს სადებიუტო ვარიანტი დიდოსტატმა ლიუბოევიჩმა კარპოვის წინააღმდეგ ითამაშა და უპირატესობა. ჯერ მიიღო. ვცადე მისი გაშიჯობესება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიჩქარე და უპირატესობა დავკარგე, — გვითხრა ყაიმით უკმაყოფილო გიორგაძემ.

ნონა თამამად უტევდა ცენტრში დატრენილ შნაპკის გვირგვინოსანს. მან ჯერ ორი პაიკი შეისწირა, მერე — ფიგურა. მაგრამ პოლონელი მოჭადრაკის მუდმივი უნებელი იყო. შნაპკი დაჟინებით თამაშობდა.

— როგორც ჩანს, ირიშის სწორ გზას სადღაც ავცდი, — სინანულით თქვა მსოფლიო ჩემპიონმა პარტიის შემდეგ. შნაპკიმა ხარისხის შეწირვით შეძლო გამსვლელი პაიკის მიღება, რამაც საბოლოოდ ყაიმამდე მიიყვანა.

სიგურიონსონმა მარჯვე თამაშით გურგენიძის პოზიციაში სისუსტეებს მიაგნო. ქართველი დიდოსტატი ამბოდ ცდილობდა ინიციატივის დაუფლებას, იგი ციხეროში მოექცა, შეცდა და ფიგურა დაკარგა.

წინადღით მოპოვებულმა გამარჯვებამ ტუზოვსკი გაათამამა და ახლა მას თავიდანვე ლებრედოს მეფეზე ეჭირა თვალი, ცდილობდა დაელამჭრა იგი. მალე ამის შანსიც მიეცა: კუნელი მოჭადრაკე ლაზიერის ფრთაზე პაიკის მოგებამ გაიტაცა. სოსუმელმა ოსტატმა ირიშში ეტლი ჩაიბა, ლებრედოს ფიქარა გამორჩა: ლაზიერის ლამაზი შეწირვით ტუზოვსკიმ ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა.

ჩოილტია ერთი სელით იგებდა, მაგრამ ვერ დაინახა იგი. ამიტომაც იღიმებოდა ყაიმით კმაყოფილი კინი.

გუფელდმა მხოლოდ წინდახედული დაცვით შეძლო სოლიდური ინიციატივის გაჩარწყოება.

VII ტურნ. კინი — ნიჩევსკი 0,5:0,5, გუფელდი — ჩოილტია 0,5:0,5, ბოხოსიანი — ხოლმოვი — 0,5:0,5, ლებრედო — ბაგიროვი 0:1, გურგენიძე — ტუზოვსკი 1:0, შმიდტი — სიგურიონსონი 0:1, შნაპკი — გიორგაძე 0:1, უბილავა — გაფრინდაშვილი 1:0.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: გ. სიგურიონსონი, თ. გიორგაძე — 4,5-4,5 ქულა, ვ. ჩოკოლტია, რ. კინი, ე. გუფელდი, ნ. გაფრინდაშვილი, ა. ტუზოვსკი — 4-4.

მემორიალში დიდოსტატის წოდება მხოლოდ შმიდტმა და სიგურიონსონმა შეიძლება მოიპოვონ, ვინაიდან მათ უკვე აქვთ ამ წოდებისთვის საჭირო თითო ბალი. ამიტომ ორივე დიდი ძალდომებით თამაშობს. ერთმანეთთანაც თავგამოდებით იბრძოდნენ. მათი პარტია ღრმად შინაარსიანი და მიმზიდველი აღმოჩნდა. სიგურიონსონმა მეფის ფრთაზე იერიში განავითარა, არ იკმარა ლაზიერის, ეტლის, კუს და მსვლელის ბრძოლაში ჩაბმა და თეორ გვირგვინოსანს პაიკებითაც კი მიატყრა. იერიშმა მას მესამე გაამარჯვება მოუტანა.

დიდი შემოქმედებითი აღმაფრენით იბრძოდა გურგენიძე. ესპანური პარტიის გაცვლითის ვარიანტში ტუზოვსკიმ თითქოს მიუდგომელი პოზიცია აიგო და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. უარმა ჩააფიქრა იგი, მაგრამ გული ვერ გაუტეხა. პირიქით, სოხუმელმა პოზიცია განიმტკიცა და მეტოქეს იერიშის გზები ჩაუკეტა. სწორედ ამ დროს დიდოსტატმა ჯერ ერთი ხარისხი შესწირა, მერე მეორე და ინიციატივას დაეუფლა. დარბაზი აზმაურდა. ამ ღრმად გააზრებულმა კომბინაციამ მონაწილეებიც მოიხიბლა. საკვარი ის იყო, რომ გურგენიძე თავის ჩანაფიქრს მძაფრ ციხეტნობში ახორციელებდა და უშეცდომოდ თამაშობდა. ფინალი დიდოსტატმა ვირტუოზულად წარმართა. საერთო აღიარებით, ეს პარტია მთელი მემორიალის თვალია.

შეურიგებელი მებრძოლია ნონა. უბილავამ უპრეტენზიოდ გაითამაშა გრიუნფელდის დაცვა. მას ალბათ ყაიმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ მოჭადრაკე ქალი ბრძოლაზე ფიქრობდა, ამიტომ თავად გაართულა თამაში. ეტლების ენდშპილში მან დროულად არ იზრუნა უბილავას ცენტრალური პაიკის უხნებელყოფისთვის, მხოლოდ თავისი გამსვლელი პაიკების შექმნაზე ფიქრობდა. საქართველოს ჩემპიონმა პაიკს მეფე და სხვა პაიკები დაახმარა. ამ პაიკების შეწირვა უკვე შეუძლებელი იყო.

ლებრედომ აღღო ვერ აუღო ბაგიროვის პოზიციურ თამაშს და თანდათან უარესე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისმა ფიგურებმა დაკარგეს ურთიერთკავშირი, ხარისხის შეგების შემდეგ კუბელმა ოსტატმა დანებება ამჯობინა უიმედო თამაშს. ეს იყო ბაგიროვის პირველი გამარჯვება ამ მემორიალში.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მხაჭი, საერთაშორისო არბიტრი.

მეგობრული შარჟი



ა. შნაპკი (პოლონეთი)
შ. შანიძის ნახატი.



ვაჭკაცის ღრი ცხოვრება

ისინი გაჭრილი ვამლივით ჰგვანდნენ ერთმანეთს. ხასიათიც ზუსტად ერთნაირი ჰქონდათ, ჩვევებიც. ერთი რომ რამეს იტყოდა, მეორე უსათუოდ გვერს დაუკრავდა. ერთს რომ უჭირდა, მეორე მაშინვე გვერდში ამოუდგებოდა. ლხინშიც განუყრელნი იყვნენ და საქმეშიც.

ერთი გიორგუწმინდიდან იყო, მეორე — საგარეჯოდან. პირველად, ჩვიდმეტი წლისანი, ღღეობაში შეხვდნენ ერთმანეთს. ზურნის ხმაზე წრეს ჩამოუარეს, ღონივრად ჩასჭიდეს ხელები ჩოხებს, დიდხანს იძოძოლავეს და რაკი ვერც ერთმა ვერ იძალა, მშვიდობით გასცილდნენ ერთმანეთს.

აი, სწორედ მაშინ გადაწყდა მათი ძმაკაცობის ამბავი. პირობაც დადეს: თუ ვინმე დაჩაგრავდა ან წააქეზებდა ერთს, მეორეს უსათუოდ სამაგიერო უნდა გადაეხადა. ბალში ხუმრობით ამბობდა: მაგათი აყოლა სამარო საქმია, ერთსაც პასუხი უნდა გასცე და მეორესაც. მართლაც, დღევით ვაჟკაცების „გადაკიდებას“ ყველა გაურბოდა...

იმან, რომელიც გიორგუწმინდელი იყო, მოგვიანებით მთელს ქვეყანაზე გაითქვა სახელი. რას არ ეძახდნენ მაშინ: ბეჭდაუდებელი გოლიათიაო, მუხლმოუდრეკი ვაჟკაციო, ჩემპიონთა ჩემპიონიო და ვინ იცის კიდევ რას. თანდათან ხალხის თვალში უცნობი გიორგუწმინდელი ჭაბუკი არსება მეკოკაშვილად გადაიქცა.

მეორეს ბედმა უფრო სხვა ცხოვრება არგუნა, თუმცაღა სპორტისა და ჭიდაობის სიყვარული ბოლომდე გაჰყვა და დღესაც ამ საქმეს ეშხაურება ალალად, მოსვოს ჩვეული უშუალობით, ვაჟკაცურად. ისე კი ამბობენ, ხალვა გზირიშვილსაც შეეძლო საქვეყნოდ გაეთქვა სახელი, მაგრამ...

ხალვას ცხოვრების გზა ისეთივე იყო, როგორიც ათასობით მისი თანატოლისა. ჯერ სამხედრო სამსახურის გავლა მოუხდა, მერე, სამამულო ომის მთელი ხუთი წელი ბტვრთან ბრძოლაში გაატარა — ხან კავკასიის მისადგომებთან იბრძოდა, ხან უკრაინაში და ბელორუსიაში, ხან კი ბუდაპეშტის ქუჩებში ათასობით სხვა საბჭოთა მეომართან ერთად სჭედდა უნგრელი ხალხის თავისუფლებას.

ცხოვრება იმით არის საინტერესო, რომ ყველას თავის გზასა და მოწოდებას მოუნახავს ხოლმე. მეჭოკიშვილს მართლაც არსენას გული ჰქონდა, ჭიდაობისთვის იყო დაბადებული და ამიტომაც დიდი სპორტსმენის ცხოვრების გზამ გაიყოლა. სად არ იარა, სად არ იჭადავა, ვის არ შეხვდა, სანამ ბეჭდაუდებელი ფალავანი არ გახდა.

ხალვა გზირიშვილიც უსათუოდ დიდი მოჭიდავე იქნებოდა, მაგრამ საზოგადოებრივი საქმის სიყვარულმა, სხვებზე ზრუნვამ მისი ცხოვრება ორად გაყო. ჭიდაობას, წრეს, ზურნას, დუდუკს არ უღალატა. მათ ახლაც არაფერზე გაცვლის, მაგრამ უქმად ყოფნაც რომ არ შეუძლია? ხალვას უნდა, რომ ყველა, ვინც კი ჩოხას წაიცვამს ან სარბიელზე შედგამს ფეხს, ისეთი იყოს, როგორც მისი სახელოვანი ძმადნაფიცი იყო. ამიტომ იგი მუდამ მუშტრის თვალით ზომავს ულვაშაბიჭებულ ყმაწვილებს...

სამაგალითოა გზირიშვილის მეუღლე, საზოგადოებრივი ცხოვრებაც, ხალვა ხან ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეა თავის რაიონში თუ ქალაქში, ხან ორგანიზატორი, ინიციატორი, თავკაცი. ზოგს სწავლაში წაეხმარება, ზოგს ჭკუას დაარიგებს, ზოგს რჩევას მისცემს. ხან საჭიდაო სარბიელის მშენებლობითაა ანთებული, ხან გუნდს ამზადებს მორიგი ტურნირისთვის, თან უბრალო გუნდს კი არა, სულ ჩემპიონებითა და პრიზიორებით დაკომპლექტებულს. დღეს რომ თბილისშია, ხვალ გორში ამოყოფს თავს, მერე კასპში, ქუთაისში, სოხუმში..

ოთხ ათეულ წელზე მეტია შალვა გზირიშვილი სპორტს ემსახურება. ხალისი ახლაც დიდი აქვს, მაგრამ წლებს რომ ვიაქვს თავისი? და მაინც, დღესაც ერთი შისი სიტყვა სხვა ათი კაცის სიტყვაზე მეტად ჭრის. იმიტომ, რომ ბევრი გაუგონია, ბევრი უნახავს, ბევრი უმუშავლია.

შალვა გზირიშვილთან საუბარი ჟურნალისტისთვის სასიამოვნოც არის და, ცოტა არ იყოს, ძნელიც. სასიამოვნო იმით, რომ ენაც კარგი აქვს და საუბრის კილოც; ძნელი იმიტომ, რომ თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე არაფერს ჰყვება, ასეთია ვაჟკაცის წესი.

ჩვენი ბოლო საუბრის დროსაც ბალვა სულ თავის ძმადნაფიცზე ლაპარაკობდა. ინტერესით ვუსმენდი მის ნაამბობს და ვფიქრობდი: ბოლოს და ბოლოს, რამ გააყო ეს ორი ვაჟკაცი ერთმანეთისგან? იღაპარაკოს არსენაზე, ეს ხომ მისი ცხოვრებაც არის, მისი ყველაზე ძვირფასი და სათუთი მოგონება.

... პატარძეულში ერთი მეცხვარე ყოფილა, გვარად უნაფქომველი, მეტსახელად ხუნდურას ეძახდნენ. პატრეპავლეზე ერთხელ არსენას დასჭიდებია და შემთხვევით წაუქცევია თურმე. ხალვამ, როგორც ძმადნაფიცების პირობაში იყო ნათქვამი, უმალ გამოიწვია გამარჯვებული, მაგრამ ხუნდურას ამ ბრძოლას თავი აარიდა.

იმ წელიწადს ადარ შეხვედრიან ერთმანეთს არსენა, როგორც კეთილმა კაცმა, გულში ჯავრის ჩარჩენა არ ეცოდა და პატარძეულელი მეცხვარე სულაც დაივიწყა. მაგრამ ხალვა მეცოხართან ვალში იყო და დღენიადაგ ამ ვალის გასტუმრებაზე ფიქრობდა, ბოლოს მიეცა კიდეც საშუალება და... ორჯერ წააქცია მეცხვარე: ერთხელ არსენას დამარცხების სამაგიეროდ, მეორედ — უკვე თავისი სახელით.

... ერთხელ ზაფხულში მთაში შემაგალ ახალგაზრდა მწყემსს შეხვდა, ვალიკო ლაფერაშვილს. მოეწონა მისი იერი, აღნაგობა:

— ჭიდაობა თუ იცი?

— როგორ არა, ჩემო ბატონო.

ხტაცა ხელი მწყემსს და თბილისში გამოაჭანა, სადაც ის-ის იყო საქართველოს ჩემპიონატი უნდა დაწყოთ. გამოცდილი მწვრთნელი არ ხოტყუებდა არჩევანში: ახალბედა ლაფერაშვილმა პირველობა მოიგო.

ასეთი შეხვედრა უამრავია ხალვა გზირიშვილის ბიოგრაფიაში.

— რაში მდგომარეობს ქართული ჭიდაობის სიბრძნე? ვკითხე ერთხელ ხალვას.

— ხალხურობაში, მოგონილ კი არა, ნამდვილ ვაჟკაცობაში.

— თქვენგან გამიგია, ქართულ ჭიდაობას ოთხი მთავარი მცნება აქვსო. ხომ არ ჩამოგვითვლით?

— უკან არასდროს დაიხიო; ზურგი არ აჩვენო მეტოქეს; წაქცეულს ხელი არ ახლო, და საერთოდ, პატივისცემით იყავი გამსჭვალული მოწინააღმდეგის მიმართ, ვინაიდან ისიც შენსავით მოჭიდავეა.

ნ. გუგუშვილი.

დაზვერვა ბრძოლით

ზამთრის სახეობების წარმომადგენლებისთვის წლევანდელ სეზონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს—1976 წელს ინსბრუკის თეთრი ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს და ამ გრანდიოზული შეჯიბრებისთვის წარმატებით მზადების თვალსაზრისით წლევანდელ სტარტებს ბევრის მოცემა შეუძლიათ.

ყველა ქვეყანაში, სადაც ზამთრის სახეობების განვითარება შეიძლება, ინსბრუკის ოლიმპიადისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყეს. ჩრდილოეთის სახელმწიფოებში — ფინეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, აგრეთვე, ავსტრიაში, იტალიაში, საფრანგეთში, სადაც ზამთრის სახეობების განვითარებისთვის მაინც .თითქმის ერთნაირად ზრუნავენ.

ოლიმპიადისთვის მზადება განსაკუთრებით კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიშალა. ამ ქვეყნების ოლიმპიურ კომიტეტებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ ინსბრუკში ისეთი წარმატებით გამოვიდნენ, როგორიც მანამდე არც ერთ ოლიმპიადაში არ მოუპოვებიათ. ამ ქვეყნების ნაკრებთა წევრები მსოფლიოს ყველა დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობენ.

ძალების ერთგვარი გენერალური შეფასება სწორედ ინსბრუკის წინაოლიმპიურ შეჯიბრებებში მოეწყობა. მანამდე თითქმის სამი თვეა და ამ პერიოდს ყველგან მაქსიმალურად იყენებენ. საკმარისი იყო მოეთოვა, რომ ბორბენელები. ორჭიდილები, ბიატლონისტები, „მფრინავი მოთხილამურეები“, სამთომოთხილამურეები ელულე გასულიყვნენ. ევროპელი სამთომოთხილამურეები მზადების პერიოდში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპისა და მსოფლიო თასების გათამაშებას, მაგრამ, ვიდრე ეს ტურნირები დაიწყებოდეს, ამ დღეებში მათ ინსბრუკის მახლობლად, ნიოიშტიფტის ტრასაზე მოიყარეს თავი.

სამწუხაროდ, სპეციალური სლალომის ტრასა უხვიროდ მოწყობილი აღმოჩნდა. ამიტომ ფავორიტი ქვეყნების — ავსტრიისა და იტალიის გუნდების ლიდერებმა შეჯიბრებაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს. ამან გამარჯვებისკენ გზა გაუხსნა შედარებით ნაკლებად ცნობილ სპორტსმენებს. ვაჟთა შორის ორი ცდის ჯამში იტალიელმა პ. დე კიზამ გაიმარჯვა — 2.51,03. მორბენალთა პირველი საერთაშორისო სტარტი შვეციის სოფელ უნასდებენში მოეწყო. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენა მოიგო მასპინძელმა მ. ბუდალიდმა — 19.13. ნორვეგიელი უფოსენი მას 40 წამით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა კანადელმა შ. ფიორტმა — 19.56.

ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბენაში ნორვეგიელთა უპირატესობა აშკარა იყო, ყველას აჯობა ცნობილმა მოთხილამურემ ო. ბრომ — 51.23. ასევე ცნობილი სპორტსმენი მ. მიურმუ 11 ადგილზე გავიდა — 52.06. ამერიკელებმა თავი გამოიჩინეს იუნიორთა შეჯიბრებაში. 10 კილომეტრზე რბენის ფინიშთან ყველაზე სწრაფად უ. კორი მივიდა — 34.53.

საბჭოთა მოთხილამურეებს ძალთა მორიგი შემოწმება სვერდლოვსკში გამართულ ურალის თასის გათამაშებაში ჰქონდათ. ქალები ამჯერად 5 კილომეტრზე დარბოდნენ. I და II ადგილები ახლაც ქვეყნის ნაკრების წევრებმა რ. სმეტანინამ (სიკტივკარი, 18.53) და ნ. ბალდიჩევამ (ლენინგრადი, 19.05) მოიგეს.

ვაჟები 10 კილომეტრზე დარბოდნენ. მსოფლიო ჩემპიონი ვ. ვედენინი შარშანდელი ტრავმის მერე ვარჯიშს ახლახან შეუდგა, ხოლო მეორე ჩემპიონი ფ. სიმაშოვი ინდივიდუალური გეგმით ვარჯიშობს. ამიტომ ისინი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ. ახლაც, ისევე როგორც ორი დღით ადრე, საპრიზო ადგილები ვ. როჭევმა (სიკტივკარი 29.38), ს. საველიევმა (ბაბაროვსკი, 29.58) და ი. გარანინმა (რუდნი, 30.14) დაისაკუთრეს.

იმედი გაამართლა

ცხინვალის ბავშვთა ტანვარჯიშული სპორტსკოლის დარბაზში ორ დღეს გაგრძელდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ჭალთა პირადი პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში.

ცხინვალელმა ზ. ცხოვრებოვამ ამას წინათ თბილისში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სამეფოდგომო ასპარეზობაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მან მრავალჭიდში ამჯერადაც ოსტატს შეედგი (72,6 ქულა) აჩვენა და ჩემპიონობა დაისაკუთრა: მეორე იყო ცხოვრებოვას თანაგუნდელი ლ. გაბარაევა — 70,75 ქულა, III ადგილი დაიკავა გორელმა ვ. ქუჭიევამ — 69,05.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ასპარეზობაში ჩემპიონობა არავის დაუთმო გორელმა ი. ამაშუკელმა (72,1 ქულა). პირველთანრიგოსანთა შორის საუკეთესო იყო მ. ლაფაჩი (ცხინვალი) — 69,95 ქულა.

ვ. მელიქიძე,
ცხინვალი.

ესტაფეტა თბილისის ქუჩებში

დასასრული

ნიშზე მას ფიზკულტურის ინსტიტუტის I გუნდის წევრმა თ. მატიცინამ ოდნავ მიასწრო.

მაგრამ შემდეგ ეტაპზე შ. მოშიაშვილმა ვერ შეძლო მატიცინას მონაპოვრის შენარჩუნება და წინ მომავალი ინჟინერი ი. ზენინი გაუშვა. ამასობაში ფიზკულტურის ინსტიტუტის II გუნდი მესამე ადგილზე გადავიდა.

როცა ლიდერებმა მესამე ეტაპი დაამთავრეს, გამოირკვა, რომ ვ. შმაყოვას ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კოლექტივი ისევ დავიწინაურებინა. მერე ა. გედევანიშვილმა მომავალ ინჟინრებთან სხვაობა 30 მეტრამდე აიყვანა.

რუსთაველის ძეგლიდან „კომუნისტის“ რედაქციამდე ესტაფეტა ვაჟებს მიჰქონდათ. ა. კერესელიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე გუნდი) სწორედ ამ ეტაპზე შეძლო თავისი კოლექტივი მესამედან მეორე ადგილზე გადაეყვანა. ახლა ლიდერთა სამეული ასეთი იყო: ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი, მეორე და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. ოღონდ ეხ იყო, ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კოლექტივი მეტოქეებს 100 მეტრით მაინც ასწრებდა.

მარჯანიშვილის მოედნიდან II და III ადგილებისთვის მებრძოლთა შორის როლები ისევ შეიცვალა. ეტყობა, მომავალ ინჟინრებს თავიანთი საუკეთესო ძალები ბოლო ეტაპებზე დაეკუნთებინათ. მათ ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე გუნდი ჩამოიტოვეს, ბოლოსწინა ეტაპზე ელექტრონიკის ფაკულტეტის პირველკურსელმა მ. გოროვეცმა ნ. გორგაძესთან ბრძოლაში ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველ გუნდთან სხვაობა შეამცირა, კავშირგაბმულობის ფაკულტეტის პირველკურსელმა ა. ნეკრასოვმა უკანასკნელ ეტაპზე ერთ მომენტში მ. შაპოვალოვს კიდეც გაასწრო, მაგრამ ძალა აღარ ეყო და შაპოვალოვმა ბოლოს და ბოლოს შეძლო ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი ნაკრების მონაპოვარი შეენარჩუნებინა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველმა კოლექტივმა დღის ამსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 17.28,8 აჩვენა. მომავალი ინჟინრები მას 0,4 წამით ჩამორჩნენ. III ადგილი ერგო ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე გუნდს — 17.42,4.

სხვა პრიზიორები. II ჯგუფი. მწვრთნელთა სკოლა — 18.07,8, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი — 19 წუთი, პოლიტექნიკუმი — 19.08,6. III ჯგუფი. საქარხნო რაიონი — 19.02,0, ორჯონიკიძის რაიონი — 20 წუთი, 1 მაისის რაიონი 20.09,0, IV ჯგუფი. სპორტკლუბი „სიწითლე“ — 20.21,0, სპორტკლუბი „განთიადი“— 20.42,0, სპორტკლუბების „უშბისა“ და „ელვის“ ნაკრები — 21.05,6.

ც. ქიმოსტარიშვილი.

* * *

სურათზე: ფინიშთან არიან მ. შაპოვალოვი (№ 2) და ა. ნეკრასოვი (№ 3).

მ. ზარგარიანის ფოტო.



ერთიანი ილიას ჭავჭავაძის სახელობის ვერცხლის

ამაო მსხვერპლი

რობერტო პაოლინი, მილანის მკვიდრი, ადგილობრივი „ინტერნაციონალეს“ თავდამოდებული გულშემატკივარია. ერთხელ იგი რადიოთი უსმენდა მატჩის ტრანსლაციას იტალიის რომელიღაც ქალაქიდან და როცა დიქტორმა გამოაცხადა „ინტერნაციონალეს“ ერთერთმა მოთამაშემ ბურთი გაიტანაო, რ. პაოლინი კინაღამ გადაირია სიხარულით. იგი შეხტა ფანჯრის რაფაზე, ცეკვა დაიწყო, ვერ შეიმაგრა თავი და მეორე სართულიდან გადმოვარდა ძირს. ტემპერამენტიან იტალიელს ფეხის მოტეხილობამაც ვერ შეუცვალა ხასიათი და საკაცეზეც განაგრძობდა სიხარულის ყიჟინას.

მხოლოდ სასწრაფო დახმარების მანქანაში შეიტყო პაოლინიმ, რომ ამაოდ გაიღო მსხვერპლი: ბურთი „ინტერნაციონალეს“ მოთამაშეს... საკუთარ კარში გაეტანა.

ნოვატორი არბიტრი

ბელგრადელმა ფეხბურთის არბიტრმა ტრაილევმა „ნოვატორულ“ ხერხს მიმართა კალენდარულ მატჩში მოსტარის გუნდებს — „ველექსა“ და „დინამოს“ მატჩის მსჯობის დროს. მეთოდი, რომლის შემწეობითაც არბიტრს სურდა წესრიგი დაემყარებინა მინდორზე, მართლაც არნახულია: როცა მან შეამჩნია, რომ დინამოელი დრაგო ვაბიჩ დაუფარავად „ნადირობდა“ ერთ-ერთ მოწინააღმდეგე ფეხბურთელზე, მან კარგა ლაზათიანი მუქლუქუნი უთავაზა მას.

იუგოსლავიის საფეხბურთო კავშირს საგანგებო წესით მოუხდა ამ ინციდენტის განხილვა.

მშვიდად ეძინა...

არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობამ იტალიის კლუბ „მილანის“ ხელმძღვანელობა აიძულა 1 მილიონ დოლარად მიეყიდა „რომასთვის“ თავისი საუკეთესო თავდასხმელი პიერინო პრატი.

ამ ამბავმა აღშფოთება გამოიწვია კლუბის ფანატიკოს გულშემატკივართა შორის. ისინი ყოველ ღამე სპორტსტატ დემონსტრაციებს აწყობდნენ „მილანის“ პრეზიდენტის ვილასთან და დილამდე არ წყვეტდნენ ხმაურს.

ტყუილად იწყვეტდნენ ნერვებს გულშემატკივრები: კლუბის პრეზიდენტს ამ დროს მშვიდად ეძინა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ეს იქნება 1975 წელს

იანვარი

8-12. საერთაშორისო შეჯიბრება სათხილამურო სპორტში — „კავგოლოვოს თამაშები“ (ბიატლონი, სათხილამურო რბოლა, ორჭიდი). ლენინგრადი.

10-12. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ბაკურიანი.

13-19. ევროპის ჩემპიონატი საცივაო სპორტში. ოლანგი (იტალია).

23. I-3. II. მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. ფინეთი.

25-26. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. ჰერენვეინი (ჰოლანდია).

27. I-1. II. ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. კოპენჰაგენი (დანია).

თებერვალი

6-16. მსოფლიო ჩემპიონატი ბაიდის ჩოგბურთში. კალკუტა (ინდოეთი).

8-9. ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. ოსლო (ნორვეგია).

10-16. მსოფლიო ჩემპიონატი საცივაო სპორტში. ჰამასტრანტი (შვეცია).

15. აშშ-სა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი დარბაზში. რიჩმონდი (აშშ).

15-16. მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში. გიოტებორგი (შვეცია).

16-23. ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. მოსკოვი.

22-23. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. ასენი (ჰოლანდია).

25. II-2. III. მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. ლენინგრადი.

27. II-3. III. საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ი. ჰოდუბნის პრიზზე. კიევი.

მარტი

3-8. მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. კოლორადო-სპრინგსი (აშშ).

7-9. ევროპის თასის გათამაშება რაპირისტ ვაჟთა შორის. პარიზი.

8-9. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი დარბაზში. კატოვიცე (პოლონეთი).

10-17. წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება — „გაზაფხულის მერცხლები“. მინსკი.

13-16. ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიო ჩემპიონატი. კულმი (ავსტრია).

14-16. ევროპის თასის გათამაშება რაპირისტ ქალთა შორის. ტურინი (იტალია).

15-20. ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა“. ზაპოროჟიე.

29. III-3. IV. საერთაშორისო შეჯიბრება სათხილამურო რბოლებში — „ჩრდილოეთის დღესასწაული“. მურმანსკი.

აპრილი

1-21. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი ჰოკეიში. მიუნპენი, დიუსელდორფი (გფრ).

3-6. საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე. მოსკოვი.

5-6. ევროპის თასის გათამაშება დაშნით ფარიკაობაში. ჰანდენჰაიმი (გფრ).

7-12. საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში — „რიგა-75“.

10-12. საერთაშორისო შეჯიბრება სათხილამურო ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში. კიროვსკი.

25-27. ევროპის თასის გათამაშება ხმლით ფარიკაობაში. ბუდაპეშტი.

26-27. საერთაშორისო შეჯიბრება სასტენდო სროლაში. მოსკოვი.

27. IV-3. V. ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. გფრ.

ევროპის პირველობა ბადმინტონში. კოპენჰაგენი (დანია).

აპრილი-ნოემბერი. ევროპის 1976 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში (წინასწარი შეხვედრები).

მაისი

3-4. ევროპის ტანმოვარჯიშე ქალთა ჩემპიონატი. სკიენი (ნორვეგია).

4-11. ევროპის თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. ესპანეთი.

14-18. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე ველოსიპედში. მინსკი.

14-18. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება ი. რიაბჩინსკაიას სსრკავშირის პრიზზე. მოსკოვი.

23-25. ფინალური შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში უცხოელ სპორტსმენთა მონაწილეობით სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტის გ. დობროვოლსკის სსრკავშირის პრიზზე. ლენინგრადი.

25-30. მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. კიევი.

28-30. მძლეოსანთა შეჯიბრება უცხოელ სპორტსმენთა მონაწილეობით გაზეთ „პრავდას“ პრიზზე. სოჭი.

29. V-1. VI. საერთაშორისო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში — მოსკოვის დიდი რეგატა.

29. V-8. VI. ევროპის ჩემპიონატი კრივში. კატოვიცე (პოლონეთი).

31. V-1. VI. ევროპის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ჩემპიონატი. ბერნი (შვეიცარია).

ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატი. საფრანგეთი.

აფროსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა.

ევროპის ჩემპიონატი შაშში. იტალია.

ივნისი

6-15. ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი. იუგოსლავია.

7-9. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე ველოსიპედში ტანდის პრიზზე.

13-15. საერთაშორისო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში — „ქარვის ნიჩბები“. ტრაკაი.

13-15. მძლეოსანთა შეჯიბრება — ძმები ზნამენსკების მემორიალი. მოსკოვი.

24-28. მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. შვეიცარია.

26-29. ევროპის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. შვეიცარია.

ივნისი-ივლისი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება უიმბლდონის ტურნირი. ინგლისი.

ივნისი-აგვისტო. მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ვაჟთა შორის.

ივლისი

3-6. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. იუგოსლავია.

4-5. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება: სსრკავშირი — აშშ. კიევი.

10-20. მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბუდაპეშტი (უნგრეთი).

18-25. მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, სინქრონულ ცურვასა და წყალბურთში. კოლუმბია.

ივლისი-აგვისტო. ევროპის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი. იტალია.

აგვისტო

12-17. ევროპის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში (გაწვრთნა). კიევი.

12-20. კალათბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება სსრკავშირის მფრინავ-კოსმონავტის ი. გაგარინის ხსოვნის პრიზზე. ტაშკენტი.

15-17. ევროპის თასი ცურვაში: ვაჟები — მოსკოვი, ქალები — ინგლისი.

15-30. ჰოკეისტთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. ლენინგრადი, რიგა, კიევი, მოსკოვი.

16-17. მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშების ფინალები. ნიცა (საფრანგეთი).

16-17. ევროპის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. შვეიცია.

17-24. ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. მოსკოვი.

20-25. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე ველოსიპედში. ბელგია.

20-29. აფროსანთა საერთაშორისო შეჯიბრება — ბალტიის XXVII რეგატა. ტალინი.

20-31. მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ინგლისი.

23. VIII-5. IX. კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. კოლუმბია.

27-30. მსოფლიო ჩემპიონატი გზატკეცილზე ველოსიპედში. ბელგია.

ევროპის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. ავსტრია.

სექტემბერი

6-7. მძლეოსნურ მრავალჭიდში ევროპის თასის გათამაშების ფინალები. ვარშავა (პოლონეთი).

15-24. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. მოსკოვი.

19-22. მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში. ავსტრია.

სექტემბერი-ოქტომბერი. მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. მექსიკა.

ოქტომბერი

9-19. მსოფლიო ჩემპიონატი თაკისუფალ, კლასიკურ ჭიდაობასა და სამბოში. მინსკი.

13-19. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე ველოსიპედში „თბილისის დიდი პრიზი“.

15-26. ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში. იუგოსლავია.

ოქტომბერი-ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ესპანეთი.

ნოემბერი

21-24. აკრობატთა საერთაშორისო შეჯიბრება სსრკავშირის მფრინავ-კოსმონავტის გ. ვოლკოვის ხსოვნის პრიზზე. იაროსლავლი.

დეკემბერი

3-14. ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. კიევი, ზაპოროჟიე, ვილნიუსი, დონის როსტოვი.

18-29. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ახუჯრიან შაშში. ჰოლანდია.

შენიშვნა: ზოგიერთი შეჯიბრების ადგილი და თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კალათბურთი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 7-8 დეკემბერი. სსრკავშირის პირველობა (I ლიგა). „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი). დაწყება 19 სთ.

ვფიქრობ, ვიცი კავკასიონის ტრადიციები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოწყვლე და სოფლის ახალგაზრდობის და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მომნაწილეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, განმომწები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04859